

სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატის ვებგვერდის სპეციფიკაცია

1. ვებგვერდის მისამართი

სამუშაო პროცესში უნდა განისაზღვროს ვებგვერდის მისამართი.

2. ტექნიკური მოთხოვნები

2.1. ვებგვერდის მიმართ ზოგადი საკითხები

- ვებგვერდის ქართულენოვანი ვერსია შექმნილი უნდა იყოს შრიფტების უნივერსალურ კოდირებაში (UTF-8);
- ვებგვერდი მორგებული უნდა იყოს სხვადასხვა მოწყობილობებზე (მაგ., მობილური, ტაბლეტი, დესკტოპი);
- ვებგვერდი უნდა შეიქმნას PHP/MySQL პლატფორმაზე და იყენებდეს უახლეს ტექნოლოგიებს (HTML5, CSS3, JavaScript და ა.შ.);
- ვებგვერდი სრულფასოვნად უნდა ფუნქციონირებდეს ყველა არსებულ ბროუზერებში, აკმაყოფილებდეს W3C სტანდარტებს (HTML5) და შესაბამის ვალიდატორზე (<http://validator.w3.org>) შემოწმებას გადიოდეს შეცდომის გარეშე;
- საიტი უნდა იყოს მაქსიმალურად ოპტიმიზირებული, მარტივი ინტერფეისით, მოქნილი ნავიგაციით და ადვილად ჩატვირთვადი;
- საიტს უნდა გააჩნდეს საიტზე ძიების ლოკალური ფუნქცია;
- პროექტში გათვალისწინებულ უნდა იქნას მომავალში ფუნქციონალის გაზრდის შესაძლებლობა, სხვადასხვა კომპონენტის დამატება;
- ვებგვერდს უნდა ჰქონდეს მასზე განთავსებულ ნებისმიერ ტექსტურ გვერდზე ფოტოალბომების და ფაილის მიზმის შესაძლებლობა.

2.2. პროგრამული კოდი

ვებ საიტის და მართვის პანელის კოდი უნდა იყოს ხელმისაწვდომი რედაქტირებისთვის. სურვილის შემთხვევაში, სხვა უფლებამოსილ პირს უნდა შეეძლოს ვებ საიტის პროგრამულ ან ინტერფეისის მხარეს ნებისმიერი ცვლილების შეტანა და ის არ უნდა იყოს შეზღუდული დაშიფრული კოდით.

2.3. საძიებო სისტემებში ოპტიმიზაცია (SEO)

პროექტის ჩაბარების დროს ვებგვერდი ოპტიმიზირებული უნდა იყოს ძირითადი საძიებო სისტემების (google, yahoo, Bing და ა.შ.) მოთხოვნების შესაბამისად. ყველა გვერდს უნდა გააჩნდეს სწორად გენერირებული meta tag-ები (description, title, og:tags).

2.4. სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია

- ვებგვერდის გვერდები უნდა იყოს ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან. სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის შიდა გვერდებზე უნდა იყოს შესაძლებლობა ინფორმაციის მოწოდების და გაზიარების საშუალება Facebook და Twitter პლატფორმებზე სწორად და გამართულად. იმ შემთხვევაში თუ გასაზიარებელია ინფორმაცია, რომელსაც აქვს მიმაგრებული ფოტოსურათი და მოკლე ტექსტი, ეს ინფორმაცია უნდა გამოჩნდეს შესაბამისად.
- ყველა გვერდს უნდა გააჩნდეს სწორად გენერირებული og: tag-ები.

2.5. ვებსაიტის დიზაინი და განვითარება

ვებგვერდის დიზაინის დამუშავება პერიოდულად უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან შემდეგი თანმიმდევრობით:

- კონცეპტუალური დიზაინი: მთავარი გვერდისა და რამდენიმე შიდა გვერდის ესკიზი შემსყიდველს უნდა წარედგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღეში;
- მთავარი გვერდისა და რამდენიმე შიდა გვერდის დიზაინი შეთანხმებული ესკიზის მიხედვით შემსყიდველს უნდა წარედგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 დღეში.

ვებგვერდი ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. მას უნდა ქონდეს ვიზუალურად მიმზიდველი განლაგება, რომელიც ასახავს ბიოსფერული რეზერვატის ბუნებრივ სილამაზეს და მნიშვნელობას. ვებგვერდი უნდა იყოს მოსახერხებელი მომხმარებლისთვის ინტუიციური ნავიგაციით.

2.6. კოდის ოპტიმიზაცია

ვებ საიტის გვერდები უნდა იტვირთებოდეს სწრაფად. ამ მოთხოვნის მიღწევისთვის შემსრულებელმა უნდა გამოიყენოს ინდუსტრიაში მიღებული ნორმები ინფორმაციის ოპტიმიზაციისთვის. მაგალითად:

- CSS და JavaScript ფაილების მინიფიკაცია;
- სხვადასხვა CSS და JavaScript ფაილების გაერთიანება;
- სურათების კროპირებისა და ქეშირების ფუნქციები;
- ინტერფეისის აწყობის დროს Sprite ტექნიკის გამოყენება მედია ფაილებთან მიმართებაში.

2.7. Cross Browser Compatibility

- ვებგვერდი ხარვეზების გარეშე უნდა მუშაობდეს ყველა პლატფორმაზე (Windows, Linux, Mac, Android, IOS) და ყველა პოპულარულ ვებ ბრაუზერში (Microsoft Edge, Mozilla, Chrome, Opera, Safari).

2.8. Friendly URLs

ვებსაიტის URL მისამართები უნდა იყოს გადაწყვეტილი ე.წ. Search Engine Friendly URL-ის პრინციპით, რომელიც გულისხმობს გვერდების მისამართების შემდეგ სტრუქტურას: www.domain.ge/en/about-us/our-team.

2.9. Google Analytics

შემსრულებელი ვალდებულია Google Analytics-ის კორექტულ ინსტალაციაზე ვებ საიტის კოდში. ძირითადი საინსტალაციო და სხვადასხვა მოქმედებების კოდები მოწოდებული იქნება სამუშაო პროცესში.

2.10. ჰოსტინგი

ვებ საიტის განთავსების სასერვერო სივრცე გამოყოფილი იქნება და წვდომის მონაცემები მოწოდებული იქნება შემსრულებლისთვის სამუშაო პროცესში. შემსრულებელი ვალდებულია გამოიყენოს გამოყოფილი სივრცე, სადაც ატვირთავს ვებგვერდის დასრულებულ ვერსიას პროექტის გრაფიკის ეტაპების მიხედვით. შემსრულებელს შეუძლია (სასურველია) გამოიყენოს გამოყოფილი სივრცე სამუშაო პროცესშიც, სადაც ვებგვერდის სატესტო ვერსია ხელმისაწვდომი იქნება დამალულ რეჟიმში და სამუშაო გუნდის წევრებს ექნებათ საშუალება ნახონ განვითარების პროგრესი.

3. საავტორო უფლებები

3.1. მესამე პირების საავტორო უფლებები

- საიტის შექმნისას გამოყენებული პროგრამული კოდი, დიზაინი და გრაფიკული გამოსახულებები უნდა იყოს შემსრულებლის საკუთრება, ან შემსრულებელს უნდა გააჩნდეს მათი კანონიერი გამოყენების უფლება.
- შემსრულებელი პასუხს აგებს საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ ყველა პრეტენზიაზე, რომელიც შეიძლება წაუყენონ მესამე პირებმა შემსყიდველს.

3.2. საავტორო უფლებების გადაცემა

- შემსრულებელი ვალდებულია შემსყიდველს ვადის განსაზღვრის გარეშე (უვადოდ) გადასცეს ყველა საავტორო უფლება შექმნილ ვებ საიტზე.
- საავტორო უფლებების გადაცემა გულისხმობს, მათ შორის და შეუზღუდავად:
 - შექმნილი პროგრამული კოდის გადაცემას კომპილაციის გარეშე;
 - შექმნილი პროგრამული კოდის შეუზღუდავად მოდიფიკაციის, პროგრამირების ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანის, ადაპტირების, სისტემატიზების ან სხვაგვარი ცვლილების და მიღებული შედეგების რეპროდუცირების უფლებებს საკუთარი საჭიროებისათვის;
 - პროგრამული კოდის ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ რეპროდუცირების უფლებას საკუთარი საჭიროებისათვის;
 - დიზაინის და გრაფიკული გამოსახულებების ნებისმიერი სახით ცვლილების ან/და შემსყიდველის ნებისმიერი სხვა საჭიროებისათვის გამოყენების უფლებას.
- შემსრულებლის საავტორო უფლებები, რომლებიც უნდა გადაეცეს შემსყიდველს, ცალკე არ ანაზღაურდება და მისი ღირებულება შედის ვებ-საიტის შექმნის ერთიან ღირებულებაში.

4. საგარანტიო მომსახურება და ტექნიკური მხარდაჭერა

- ვებ საიტის ჩაბარების შემდეგ, შემსრულებელი ვალდებულია ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე განახორციელოს ვებგვერდის უფასო ტექნიკური მხარდაჭერა და კონსულტაცია მისი შემსყიდველისათვის გადაცემიდან არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში, რაც გულისხმობს ვებსაიტზე აღმოჩენილი ნებისმიერი სახის ხარვეზის დროულ აღმოფხვრას და გარკვეულ საკითხებში სატელეფონო, ელექტრონული ფოსტის ან პირად კონსულტაციის გაწევას;

- ასევე, მომწოდებელი ვალდებულია, დამკვეთის შესაბამის თანამშრომლებს ჩაუტაროს ტრენინგი ვებგვერდის სამართავ პანელთან და ინფორმაციის რედაქტირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

5. ვებგვერდის დეტალური აღწერა

ვებგვერდის სტრუქტურა შედგება ერთი - მთავარი მენიუსგან. მთავარი მენიუს გვერდები და შინაარსი ხელმისაწვდომია ვებგვერდის ნებისმიერი ვიზიტორისთვის.

1. მთავარი გვერდი:

- 1.1. განთავსდება ბრ-ის შთამბეჭდავი მაღალი ხარისხის ფოტო, რომელზეც დაიდება მოკლე, მიმზიდველი სათაური. დაიტანება ქვესათაური რეზერვატის მნიშვნელობის შესახებ (რეზერვატის მოკლე აღწერა, 2-3 პარაგრაფი), რომელსაც ექნება Call-to-Action ლილაკი მაგ. "გაიგე მეტი", რომელიც პირდაპირ გადაიყვანს მკითხველს ბრ-ის შესახებ ინფორმაციაზე.
- 1.2. საიტის მთავარ გვერდზე ასევე განთავსდება მთავარი მონაცემები (ფართობი, დაარსების წელი, ბიომრავალფეროვნების მაჩვენებლები).
- 1.3. განთავსდება მოკლე მთავარი ღირსშესანიშნაობები, 3-4 გამორჩეული ადგილის/მოვლენის მოკლე აღწერა სურათებით და ბმულები დეტალური ინფორმაციისთვის.
- 1.4. აქვე დაიტანება აქტივობების სექცია, სადაც განთავსდება ვიზიტორებისთვის ხელმისაწვდომი აქტივობების ჩამონათვალი, ფოტოები თითოეული აქტივობისთვის, ბმულები დეტალური ინფორმაციისთვის.
- 1.5. მთავარ გვერდზე უნდა გამოვიტანოთ სიახლეების სექცია, უახლესი 2-3 სიახლე/ღონისძიება, თარიღები და მოკლე აღწერა.
- 1.6. მოცემული იქნება რეზერვატის ინტერაქტიული რუკა, ძირითადი წერტილების აღნიშვნებით.
- 1.7. მთავარ გვერდზე დაიტანება საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ელ-ფოსტა, სამუშაო საათები.
განთავსდება სოციალური მედიის ბმულებიც.

2. სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი:

- 2.1. იუნესკოს პროგრამა ადამიანი და ბიოსფერო: აღნიშნულ გვერდზე მოცემული იქნება იუნესკოს პროგრამის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ასევე ხაზს გაუსვამს ბიოსფერული რეზერვატების მნიშვნელობას ნახსენები იქნება, რომ საქართველოში არის ნომინირებული ორი ბრ და დაემატება დედოფლისწყაროს ბრ-ზე მოკლე ინფორმაცია და ვებგვერდის ლინკი.
- 2.2. სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი: განთავსდება ბრ-ს რუკა და ზონირება, ფართობი, დაარსების წელი, ბიომრავალფეროვნების მაჩვენებლები და ა.შ.
- 2.3. დაცული ტერიტორიები
- 2.4. ბიომრავალფეროვნება ბრ-ს ტერიტორიაზე
- 2.5. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა
- 2.6. სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები

3. მართვა და კოორდინაცია

- 3.1. მმართველი ორგანო
- 3.2. მართვის სტრუქტურა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა
- 3.3. ბიოსფერული რეზერვატის გუნდი
- 3.4. მართვის კონცეფციის დოკუმენტი (ან მენეჯმენტის გეგმა)

4. სიახლეები

- 4.1. ღონისძიებები
- 4.2. ტენდერები და კონკურსები
- 4.3. ვაკანსიები

5. პროექტები

- 5.1. ბიომრავალფეროვნება და გარემოს დაცვა
- 5.2. განათლება და კვლევა-მონიტორინგი
- 5.3. მდგრადი სოციალურ - ეკონომიკური განვითარება: მოიცავს პროექტებს სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ტრადიციული ხელსაქმის, კულტურული მემკვიდრეობის, მდგრადი ბუნებათსარგებლობის მიმართულებით.

6. გვეწვით

- 6.1. როგორ მივიდეთ
- 6.2. მარშრუტები
- 6.3. ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობები
- 6.4. განთავსება
 - 6.4.1. სასტუმროები
 - 6.4.2. საოჯახო სასტუმროები
 - 6.4.3. საკემპინგე ადგილები
- 6.5. კვების ობიექტები
- 6.6. ტურისტული სერვისები
 - 6.6.1. გიდები
 - 6.6.2. ცხენების გაქირავება
 - 6.6.3. მძღოლების მომსახურება / მაღალი გამავლობის ავტომობილების გაქირავება
 - 6.6.4. ველოსიპედების გაქირავება
- 6.7. ბიოსფერულ რეზერვატში წარმოდებული პროდუქტები (მოიცავს პროდუქტების აღწერას და მწარმოებლების საკონტაქტო ინფორმაციას (მაგ. ყველი, ღვინო და ასე შემდეგ)

7. პუბლიკაციები

- 7.1. ბროშურები
- 7.2. კვლევები

8. გალერეა

- 8.1. ფოტო
- 8.2. ვიდეო

9. პარტნიორები (სამეცნიერო ინსტიტუტები, დონორები, მედია, არასამთავრობო, და ა.შ)

- 9.1. დამმობილებული ბიოსფერული რეზერვატები

9.2. კონტაქტი

10. ძიება

11. FAQ

12. Facebook გვერდის ლინკი

13. შემოგვიერთდი:

13.1.1. მობაღისეღბა

13.1.2. ვაკანსიები

13.1.3. ტენდერები

13.1.4. კონკურსები

13.1.5. მოგვეწერეთ თქვენი იდეა ან დაგვიტოვეთ უკუკავშირი